ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N3

დაბა ქედა 27 მარტი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:20 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
გოჩა ჟღენტი- კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

27.03.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტი.

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე.

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 13 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წერილი (განცხადების ნომერი 12-95240731-95; განცხადების თარიღი: 13.03.2024) „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.”

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორის წერილობით მოთხოვნილია ორგანიზაციისათვის ახალი საოფისე ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობაში გადაცემა. შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს ადმინისტრაცია საოფისე საქმიანობას ეწევა სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჭესის დასახლებაში) მე-5 ქუჩა, I ჩიხი, N 1-ში მდებარე 72,1 კვ. მეტრ შენობა-ნაგებობაში. სადაც ფართის სიმცირის გამო ვერ ახერხებს სხვადასხვა ტურისტული პროექტების განხორციელებას და საქმიანობის სრულყოფილად წარმართვას. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია საოფისე საქმიანობის განსახორციელებლად სარგებლობის უფლებით, (5 წლის ვადით), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული 129,10 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.34.040.01.500) არასაცხოვრებელი ფართი.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ქონების მართვის განყოფილების უფროსი
2	2023 წლის მდგომარეობით ,,ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის დირექტორი
3	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:20 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ციური ზაქარაძე**